



საქართველო
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის
მერია



2800

ქ. ლანჩხუთი კოსტავას ქ. N37

Lanchkhuti@yahoo.com

N 838

15/02/2019

838-09-2-201902150909



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს ბესიკ ტაბიძეს

ბატონო ბესიკ,

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების, „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-4 პუნქტისა და „საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, წარმოგიდგენთ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიაში შრომით ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის გაზრდაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტს და აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით განმარტებით ბარათს.

1. პროექტის მიღების მიზეზი, მიზანი და არსი

როგორც ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის უფროსის მ/შ ბუხუტი ბარამიძის მოხსენებითი ბარათიდან ირკვევა საჭიროა გაიზარდოს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიაში, დამხმარე (არამუდმივი) ამოცანების შესრულების მიზნით არსებული, შრომით ხელშეკრულებით დასაქმებულ საჯარო მოსამსახურეთა რიცხოვნება ხუთი ერთეულით, (რომელშიც იგულისხმება სპეციალისტი ჩოჩხათის ადმინისტრაციულ ერთეულში, სპეციალისტი შუხუთის ადმინისტრაციულ ერთეულში, სპეციალისტი აკეთის ადმინისტრაციულ ერთეულში, სპეციალისტი გენდერულ საკითხებში და სპეციალისტი სამედიცინო განათლებით სოციალურ და ჯანდაცვის სამსახურში).

„საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად შრომით ხელშეკრულებით დასაქმებულ საჯარო

მოსამსახურეთა რიცხოვნება არ უნდა აღემატებოდეს საჯარო დაწესებულების მთლიანი საშტატო რიცხოვნების 5%-ს, მაგრამ „საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, დადგენილი შეზღუდვიდან შესაძლებელია გამონაკლისის დაშვება მუნიციპალიტეტის შემთხვევაში - მუნიციპალიტეტის საკრებულოს შეთანხმებით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილ პროექტზე გთხოვთ თქვენს თანხმობას.

2. პროექტის ფინანსური დასაბუთება

პროექტის მიღება გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას. პროექტს თან ახლავს საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის წერილი.

3. პროექტის ავტორი და საკრებულოს სხდომაზე დანიშნული მომხსენებელი

პროექტი მომზადებულია მერიის იურიდიული სამსახურის მიერ. პროექტის განხილვისას მომხსენებლად წარმოგიდგენთ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის, ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის ელიკო იმნაძის კანდიდატურას. პროექტის მიღება მიზანშეწონილად მიგვაჩნია საკრებულოს უახლოეს სხდომაზე.

4. პროექტის წარმდგენი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი.

გიორგი ფაცურია

მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი
ხელმძღვანელობა





საქართველო
 ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის
 მერიის ადმინისტრაციული და
 შესყიდვების სამსახური



2800

ქ. ლანჩხუთი კოსტავას ქ. N37

Lanchkhuti@yahoo.com

N 181

14/02/2019

181-09-3-201902141622



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელს
 ბატონ გიორგი ფაცურას
 ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის უფროსის მოვალეობის
 შემსრულებლის ბუხუტი ბარამიძის

მ ო ხ ს ე ნ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2019 წლის 15 იანვრის სხდომაზე დეპუტატმა კარლო კვიციანიშვილმა გამოთქვა მოსაზრება, რომ აკეთის, ჩოჩხათისა და შუხუთის ადმინისტრაციულ ერთეულებში საჭიროა სპეციალისტის დამატება რაც დაასაბუთა შემდეგი ფაქტორებით: ჩოჩხათის ადმინისტრაციულ ერთეულში ცხრა სოფელია გაერთიანებული, არსებული საჯარო მოხელეების რაოდენობა საკმარისი არაა მოსახლეობასთან კომუნიკაციისა და ეფექტური მუშაობისათვის; სოფელ შუხუთში, რომელიც ორ სოფელს აერთიანებს, ორი საჯარო მოხელე ვერ ახერხებს ორივე სოფლის მოსახლეობასთან სათანადო მუშაობას, იგივე სურათია აკეთის ადმინისტრაციულ ერთეულში სადაც რამდენიმე სოფელია გაერთიანებული და მთიანი რელიეფი სირთულეებს ქმნის.

მოგახსენებთ ასევე რომ მუნიციპალიტეტს ესაჭიროება სპეციალისტი, რომელიც იმუშავებს გენდერულ საკითხებზე. აღნიშნული თემა დღეს აქტუალურია, საჭიროა სხვადასხვა მიმართულებით საკითხების მომზადება, ქალების პრობლემებისა და სხვადასხვა სფეროში გენდერულ ჭრილში არსებული სიტუაციის შესწავლა.

„მედიკამენტების შეძენაზე დახმარების პროგრამიდან“ თანხის გაცემის პროგრამის შეუფერხებლად განხორციელებისათვის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურში აუცილებელია სპეციალისტი სამედიცინო განათლებით, რომელიც ნახევარ განაკვეთზე დასაქმდება.

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელის, როლანდ ლაშხიას ინფორმაციით შტატგარეშე მუშაკთა ხელშეკრულებით დასაქმება განხორციელდება დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში.

გთხოვთ დაავალოთ იურიდიულ სამსახურს აღნიშნულ საკითხზე საკრებულოში შესატანი პროექტის მომზადება.

ბუხუტი ბარამიძე

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი
 ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახური

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის
საფინანსო-საბიუჯეტო
სამსახური

2800

ქ. ლანჩხუთი კოსტავას ქ. N37

Lanchkhuti@yahoo.com

N 180
14/02/2019

180-09-3-201902141411



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის
ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის
სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელს
ბატონ ბუხუტი ბარამიძეს

ბატონო ბუხუტი,

თქვენი მიმდინარე წლის 14 თებერვლის N177 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ აუცილებლობიდან გამომდინარე შტატგარეშე მუშაკების ხელშეკრულებით აყვანა განხორციელდება 2019 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნების ფარგლებში. ამასთან სამსახურს მიზანშეწოლილად მიაჩნია აღნიშნული მუშაკები პირველ ეტაპზე აყვანილი იქნას სამი თვის ვადით, ხოლო შემდგომ საბოლოო გადაწყვეტილება მიღებული იქნეს მათ მიერ გაწეული საქმიანობის ანალიზის შედეგების გათვალისწინებით.

პატივისცემით,

როლანდი ლაშხია

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №

2019 წლის თებერვალი

ქ. ლანჩხუთი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიაში შრომით ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის გაზრდაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების, „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-4 პუნქტისა და „საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად,

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს, გაზარდოს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიაში, დამხმარე (არამუდმივი) ამოცანების შესრულების მიზნით არსებული, შრომით ხელშეკრულებით დასაქმებულ საჯარო მოსამსახურეთა რიცხოვნება ხუთი ერთეულით, (რომელშიც იგულისხმება სპეციალისტი ჩოჩხათის ადმინისტრაციულ ერთეულში, სპეციალისტი შუხუთის ადმინისტრაციულ ერთეულში, სპეციალისტი აკეთის ადმინისტრაციულ ერთეულში, სპეციალისტი გენდერულ საკითხებში და სპეციალისტი სამედიცინო განათლებით სოციალურ და ჯანდაცვის სამსახურში).

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს „ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის“ მე-8 თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ბესიკ ტაბიძე